ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №30

დ. ჩხოროწყუ 26 ნოემბერი, 2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის ცენტრი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან წიფურიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ი/მ ემზარ შენგელია წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი ხელმძღვანელის ემზარ შენგელიას (პ/ნ 48001013123) სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის ცენტრი" - სათვის საკანალიზაციო მილების გაწმენდის სფეროში მომსახურების გაწევა.

2.2 კლასიფიკატორის კოდი–CPV 90400000 (90470000) – 375 ლარი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 გაწეული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 375 ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;

4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებით;

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.4. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევის ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

4.5. ხელშეკრულებისკონტროლს ახორციელებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის ცენტრის ადმინისტრაციული სამსახური.

5. მომსახურების გაწევის ვადები

5.1 მომსახურების გაწევა „მიმწოდებლის" მხრიდან განხორციელდება 2016 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფომების შემდეგ.

6.2 ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების მიღებას ახორციელებს „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამისილი წარმომადგენელი, რომლებიც მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ შესაბამისს მიღება-ჩაბარების აქტს.

7. ანგარიშსწორება და ვალუტა

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის ადგილობრივი (სახელმწიფო) ბიუჯეტიდან, მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (ელ. ანგარიშფაქტურა, ზედნადები ან მიღება-ჩაბარების აქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.3 ანგარიშწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8. ფასები

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15. დაუძლეველი ძალა

15.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს მაჟორული პირობების ზეგავლენით.აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
15.2 თუ ერთ–ერთი მხარე ფორს მაჟორული პირობების გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
15.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. ინტერესთა კონფლიქტი

19.1 შემსყიდველი ორგანიზაცია არ უნდა იმყოფებოდეს ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის გათვალისწინებით.

20. შეტყობინება

20.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
20.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

22.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

22.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
22.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

23. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"

ჩხოროწყუს მექანიზაციის ცენტრი

დირექტორი ლ. წიფურია

დაბა ჩხოროწყუ,

ს/ კოდი 442261008

„მიმწოდებელი"

ი/მ „ემზარ შენგელია"

ხელმძღვანელი: /ე.შენგელია/

ს/კ - 48001013123

ა/ნ GE58LB0711106219312340